



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
2020 წლის 12 ოქტომბრის

ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 18:00

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ციციწო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ეკატერინე ბაკურაძის, გიორგი კიკიანის, ბიძინა ჩხეიძის, მალხაზ ვეფხვაძის, თამარ ურუშაძის, მარიამ გურჯიძის, გიორგი ჯავახიას, ეკატერინე ვაქიაშვილის, ბაჩა გაბაიძის, ანა რუსიშვილის, ნიკა გოგიას, ირაკლი გომუას, თეა სტურუას, გიორგი ზარნაძის, ია გაგნიძის, ირინა იამანიძის, ბარბარა ლურსმანაშვილის, გიორგი ქარჩავას, ილონა დიასამიძის, დავით მახათაძის, ქეთევან სანაიას, სოფიო ბარქაიას, შალვა ჯავახიშვილის, კობა ბარამიას, ლაშა ნოზაძის, გიორგი კვაშილაგას, მარატი ჟღენტის, მერაბი მუმლაძის, ვახტანგ გამცემლიძის, ირაკლი ჭიჭინაძის, სალომე კუპატაძის, ვახტანგ კაპანაძის, ლაშა თოდუას, კახა სუქიაშვილის, მამუკა დიასამიძის, ავთანდილ გიორგაძის, ილია ოკმელაშვილის, ნათია რებვიაშვილის, ბაჩა მაისურაძის, სალომე გიორგიძის, ქრისტინე მაისურაძის, ბაქარ ფალავანდიშვილის, ზურაბ შენგელიას, მარიამი გაგოშიძის, თამილა უჩავას, ანი ზენაიშვილის, მარიამი ნანობაშვილის, გიორგი კიკნაძის, ანა გახოკიძის, თეიმურაზ ლომიძის, ნათია შამათავას, ირაკლი წულაძის, ბადრი შენგელიას, მზია კუპატაძის, თამარი იმნაძის, გიორგი ჭანტურიას, ანა ხიზანაშვილის, მირანდა

შალამბერიძის, თამთა ნადირაძის, თეონა კვერნაძის, მარიამი ბიწაძის, ლევანი ჩადუნაშვილის, ალექსანდრე ჭეიშვილის, ლიკა რაზმაძის, ნანული ბლიაძის, ირაკლი მუშკუდიანის, ლამზირა თორთლაძის, თორნიკე ლიკლიკაძის, თამარ გაგუას, მარიამი აბაშიძის, მარიამი ჯიქიას, განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ეკატერინე ბაკურაძის, გიორგი კვიციანის, ბიძინა ჩხეიძის, მალხაზ ვეფხვაძის, თამარ ურუშაძის, მარიამ გურჯიძის, გიორგი ჯავახიას, ეკატერინე ვაქიაშვილის, ბაჩა გაბაიძის, ანა რუსიშვილის, ნიკა გოგეას, ირაკლი გომეზას, თეა სტურუას, გიორგი ზარნაძის, ია გაგნიძის, ირინა იამანიძის, ბარბარა ლურსმანაშვილის, გიორგი ქარჩავას, ილონა დიასამიძის, დავით მახათაძის, ქეთევან სანაიას, სოფიო ბარქაიას, შალვა ჯავახიშვილის, კობა ბარამიას, ლაშა ნოზაძის, გიორგი კვაშილავას, მარატი ჟღენტის, მერაბი მუმლაძის, ვახტანგ გამცემლიძის, ირაკლი ჭიჭინაძის, სალომე კუპატაძის, ვახტანგ კაპანაძის, ლაშა თოდუას, კახა სუქიაშვილის, მამუკა დიასამიძის, ავთანდილ გიორგაძის, ილია ოკმელაშვილის, ნათია რეხვიაშვილის, ბაჩა მაისურაძის, სალომე გიორგიძის, ქრისტინე მაისურაძის, ბაქარ ფალავანდიშვილის, ზურაბ შენგელიას, მარიამი გაგოშიძის, თამილა უჩავას, ანი ზენაიშვილის, მარიამი ნანობაშვილის, გიორგი კვიციანის, ანა გახოვიძის, თეიმურაზ ლომიძის, ნათია შამათავას, ირაკლი წულაძის, ბადრი შენგელიას, მზია კუპატაძის, თამარი იმნაძის, გიორგი ჭანტურიას, ანა ხიზანაშვილის, მირანდა შალამბერიძის, თამთა ნადირაძის, თეონა კვერნაძის, მარიამი ბიწაძის, ლევანი ჩადუნაშვილის, ალექსანდრე ჭეიშვილის, ლიკა რაზმაძის, ნანული ბლიაძის, ირაკლი მუშკუდიანის, ლამზირა თორთლაძის, თორნიკე ლიკლიკაძის, თამარ გაგუას, მარიამი აბაშიძის, მარიამი ჯიქიას წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ მაია სეფიაშვილის, ნათია ქისიშვილის, ლაშა ქუსიკაშვილის, დავით კუტალაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანებისთვის თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მაია სეფიაშვილის, ნათია ქისიშვილის, ლაშა ქუსიკაშვილის, დავით კუტალაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

**საკითხი 3.** წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ბექა კვარაცხელიას, თამარ ზურაშვილის და 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირების თამარ დიოგიძის, ბექა შენგელიას, გულიკო კაჯაშვილის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებელ წევრს, რომელსაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვს გადასახდელი, ეცნობოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა, წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა, წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო

დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - თამარ დიოგიძეს, ბექა შენგელიას, გულიკო კაჟაშვილს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანებისა და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

**საკითხი 4.** ადვოკატ ვაჟა არობელიძის განცხადების გაცნობა.

წევრები გაეცნენ ადვოკატ ვაჟა არობელიძის 2020 წლის 6 ოქტომბრის განცხადებას, რომელშიც მითითებულია, რომ 2015 წლიდან იგი არის პენსიონერი და 2019 წლის ჩათვლით იხდიდა საწევრო გადასახადს 200 ლარის ოდენობით. განმცხადებელი ითხოვდა საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50%-იანი შეღავათის გათვალისწინებით, აღნიშნულ პერიოდში გადახდილი თანხის დაანგარიშებას და გადანაწილებას შემდგომ წლებზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2010 წლის 28 სექტემბერს აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის საწევრო გადასახადზე 50 %- იანი შეღავათის გავრცელების შესახებ. შესაბამისად, საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე, წევრებზე ვრცელდება აღნიშნული შეღავათი. ვაჟა არობელიძეზე, როგორც საპენსიო ასაკის მქონე წევრზე, 2016 წლიდან ვრცელდება შეღავათი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დაკმაყოფილდეს ვაჟა არიშვილის განცხადება საპენსიო ასაკის მქონე წევრებისთვის დადგენილი 50%-იანი შეღავათის გათვალისწინებით, მის მიერ 2015-2019 წლებში გადახდილი თანხის დაანგარიშების და შემდგომ წლებზე გადანაწილების თაობაზე;

(ბ) შესაბამისი ცვლილების ასახვა წევრთა ერთიან რეესტრში დაევალოს აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს და ფინანსურ მენეჯერს.

**საკითხი 5.** ნინო ლიპარტიას (ორგანიზაცია „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“) განაცხადის განხილვა ინსტიტუციური აკრედიტაციის 3 წლის ვადით გაგრძელების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აკრედიტაციის წესების თანახმად, ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭება ხდება 3 წლის ვადით. ყოველი მომდევნო ინსტიტუციური აკრედიტაციის მიღებისათვის საჭიროა განაცხადის ხელახლა წარდგენა. განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია. საკითხი განიხილა ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭომ და მიიღო მოთხოვნილი აკრედიტაციის მინიჭების რეკომენდაცია.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:** დაკმაყოფილდეს ნინო ლიპარტიას (ორგანიზაცია „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“) განაცხადება ინსტიტუციური აკრედიტაციის 3 წლის ვადით გაგრძელების შესახებ.

**საკითხი 6.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის ცვლილების დამტკიცება, საქართველოს შრომის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად.

წევრები გაეცნენ საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს შრომის კოდექსში შესულ ცვლილებებს, რომლის თანახმად საჭიროა ცვლილება განხორციელდეს 2020 წლის შემოდგომაზე დაგეგმილ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო პროგრამაში საერთო და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მიმართულებით.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:** საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს შრომის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, განხორციელდეს ცვლილება 2020 წლის შემოდგომაზე დაგეგმილ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო

პროგრამაში საერთო და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მიმართულებით და საგამოცდო პროგრამად განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსის მუხლები: 1-ლი დან 49-ე მუხლის ჩათვლით.

**საკითხი 7.** ადვოკატ მედეა აკოლაშვილის განცხადება კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე;

წევრები გაეცნენ ადვოკატ მედეა აკოლაშვილის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მედეა აკოლაშვილის 2020 წლის 30 სექტემბრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას მედეა აკოლაშვილის კანდიდატურა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

**საკითხი 8.** ადვოკატ ლევან არძენაძის განცხადება შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

წევრები გაეცნენ ადვოკატ ლევან არძენაძის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლევან არძენაძის 2020 წლის 1 ოქტომბრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ლევან არძენაძის კანდიდატურა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

**საკითხი 9.** ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის

სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - ავთანდილ ნაცვალაძე, სალომე ბეჟაშვილი, იოსებ ხარატიშვილი, გიორგი როსტომაშვილი, ნანა არაყიშვილი - აპლიკაციებს თანდართული ბიოგრაფიით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ავთანდილ ნაცვალაძის, სალომე ბეჟაშვილის, იოსებ ხარატიშვილის, გიორგი როსტომაშვილის, ნანა არაყიშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 10.** 2020 წლის საშემოდგომო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ წლევეანდელ ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებზე მსურველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა დარეგისტრირდა. ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, გამოცდების ორგანიზების საკითხი შესაბამისობაში უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ რეკომენდაციებთან. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან გამოცდებისთვის შესაბამისი სივრცის დათმობის მიზნით, რომლის ფარგლებშიც ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად შემოთავაზებულია 5-6 დეკემბერი, 12-13 დეკემბერი, 19-20 დეკემბერი, 26 დეკემბერი; გასაჩივრება - 27 დეკემბერი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: 2020 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების თარიღებად დამტკიცდეს 5-6 დეკემბერი, 12-13 დეკემბერი, 19-20 დეკემბერი, 26 დეკემბერი; გასაჩივრება - 27 დეკემბერი.

**საკითხი 11.** ასოციაციის აპარატში საკადრო ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა - ქეთევან თურაზაშვილმა მ/წლის 14 ოქტომბრიდან დატოვა

დაკავებული თანამდებობა და აღნიშნული შტატი არის ვაკანტური.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სასწავლო ცენტრი წარმოადგენს ასოციაციის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას პროფესიაში შემომსვლელთათვის და მოქმედი წევრებისთვის და ამჟამად, სასწავლო ცენტრის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს (საკვალიფიკაციო გამოცდები, ადაპტაციის პროგრამა, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში განსახორციელებელი ტრენინგები, მოსამზადებელი კურსები, ა.შ.) და აქედან გამომდინარე ძალზედ მნიშვნელოვანია ცენტრის დირექტორის ვაკანსიის დროულად შევსება. აგრეთვე, სასწავლო ცენტრში მიმდინარე პროცესების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნულ პოზიციაზე ასოციაციის შიდა კადრის გადანიშვნა, რომელიც იცნობს ცენტრის სტრუქტურას და საქმიანობას, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აპარატის მოსამსახურეთა კონკურსის ჩატარების შესახებ დებულების“ შესაბამისად. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის - სალომე ტყეშელაშვილის სასწავლო ცენტრის დირექტორად გადანიშვნა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. ისინი მიესალმნენ წარმოდგენილ ინიციატივას და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება ასოციაციის აპარატის სამშტატო განრიგში და სასწავლო ცენტრის დირექტორის ვაკანტურ პოზიციაზე გადანიშნოს ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი - სალომე ტყეშელაშვილი.

**საკითხი 12. სხვადასხვა:**

წევრები გაეცნენ:

(ა) პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენინგების კანდიდატის - ლევან მახარაშვილის განცხადებას და ბიოგრაფიას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-7 მუხლის, 7.1 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს ლევან მახარაშვილი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენინგად. შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.



(ბ) წევრები გაეცნენ ლანა სამადაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2018 წლის 31 დეკემბერს მან ასოციაციაში წარმოადგინა 2018 წლის 24 დეკემბერს ადვოკატ ლოტბერტ კუპატაძესთან სტაჟირების დაწყების შესახებ ცნობა და მოითხოვა იმაჟამად მოქმედი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, სტაჟიორად დარეგისტრირება შემდგომში ასოციაციაში გაწევრიანების მიზნით.

2019 წლის 26 აგვისტოს ადვოკატი ლოტბერტ კუპატაძე გარდაიცვალა და შესაბამისად, ლ. სამადაშვილს არ ჰქონდა 2018 წლის 24 დეკემბრიდან 2019 წლის 26 აგვისტომდე გავლილი სტაჟირების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შესაძლებლობა. მოცემული გარემოების გათვალისწინებით, იგი ითხოვდა აღნიშნული პერიოდის სტაჟირებაში ჩათვლას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ასოციაციის სტაჟიორთა მონაცემთა ბაზაში 2018 წლის 31 დეკემბრიდან ნამდვილად იყო რეგისტრირებული ლანა სამადაშვილი, როგორც ადვოკატ ლოტბერტ კუპატაძის სტაჟიორი.

წევრებმა განაცხადეს, რომ სტაჟიორს ადვოკატთან გავლილი სტაჟირების პერიოდი არ შეიძლება დაეკარგოს ადვოკატის გარდაცვალების გამო დოკუმენტის წარმოუდნელობის მიზეზით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლანა სამადაშვილის განცხადება და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 26 აგვისტომდე ადვოკატ ლოტბერტ კუპატაძესთან გავლილი სტაჟირების პერიოდი ჩათვალოს 8 თვის სტაჟში.

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი  
თავმჯდომარე